საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

შპს ,, რუსელოის"-ის

(ს/კ 404504327)

სკრინინგის განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 30 დეკემბრის N21/8421 ხარვეზის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ კომპანიას არ აქვს მიღებული წერილში მითითებული 2022 წლის 28 ოქტომბრის **N21/5804 წერილი.** სამინისტროში ინფორმაციის გადამოწმებით დადგინდა რომ, აღნიშნული ნომრით რეგისტრირებული წერილი ეხება საგზაო დეპარტამენტის სამსახურს.

2022 წლის 28 ოქტომბრის N21/6472 და **2022 წლის 15 დეკემბრის N 21/7794** წერილის საფუძველზე 2022 წლის 19 დეკემბერს შპს ,,რუსელოის"-ის მიერ სკრინინგის ანგარიშით წარმოდგენილი იქნა საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით მოთხოვნილ და საზუსტებელი საკითხები, ამავდროულად 2022 წლის 30 დეკემბრის N21/8421 ხარვეზის წერილით განმეორებით იქნა მოთხოვნილი იგივე საკითხები.

1. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სალექარიდან გამოსულ ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების გარდა სხვა არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების არსებობის შესაძლებლობის შეფასება და შესაბამისი ხარისხობრივი მაჩვენებლები; **(იხ. სკრინინგის ანგარიშის გვ. 19-20)**
2. წარმოდგენილ უნდა იყოს საწარმოს გენ-გეგმა, სადაც საწარმოო ჩამდინარე წყალთან ერთად, ასევე დატანილი იქნება სანიაღვრე და შლამსაცავებიდან და კუდსაცავიდან ნაჟური წყლების შემკრები სისტემის, აღნიშნული სისტემის გამწმენდ ნაგებობასთან მიერთების და გაწმენდილი წყლის ზედაპირული წყლის ობიექტში (მდ. ჩოლაბური) ჩაშვების შესახებ ინფორმაცია; **(იხ. სკრინინგის ანგარიშის გვ. 10)**
3. სკრინინგის განცხადების თანახმად (თავი 2), სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებულ მანგანუმის შემცველი მადნის კარიერიდან გამამდიდრებელ საწარმოში ნედლეულის შემოტანა ხორციელდება თვითმცლელი ავტომობილებით. დოკუმენტში განხილული უნდა იყოს ავტომობილების ძარის რეცხვისა და ნარეცხი წყლის გაჩენის და ჩაშვების საკითხები; **(იხ. სკრინინგის ანგარიშის გვ. 9, 30.)**
4. წარმოდგენილი უნდა იყოს ნედლეულის, პროდუქციისა და შლამების/კუდების ტრანსპორტირებისას ავტომანქანების მოძრაობის მარშრუტ(ებ)ი, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ასევე უნდა შეფასდეს ტრანსპორტირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება; **(იხ. სკრინინგის ანგარიშის გვ. 31-32)**
5. ვინაიდან სკრინინგის ანგარიშში მოცემულია სხვადასხვა მონაცემები, დაზუსტებას საჭიროებს მადნის გაცხრილვის შემდეგ წარმოქმნილი ფრაქციის ზომა; **(იხ. სკრინინგის ანგარიშის გვ. 8)**

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალექარში დაგროვილი ნარჩენი შლამის გამოყენება შესაძლებელია როგორც სამშენებლო მიზნებისათვის, შემავსებელ მასალად, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა საქმიანობაში.

ვინაიდან, შლამი წარმოადგენს ნარჩენს, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენის (შლამის) საბოლოო მართვის საკითხი; (**იხსკრინინგის ანგარიშის გვ. 23-24, 32. ლამის და შლამის მართვის საკითხი)**

წარმოგიდგენთ, ქ. თერჯოლაში (საკ. კოდი: 33.09.43.028), ყოფილი შამპანურის ქარხნის ტერიტორიაზე არსებული შპს „რუსელოის"-ის (ყოფილი შპს „ა.დ.ვ.-ტოგო") მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.სკრინინგის ანგარიშს შენიშვნების გათვალისწინებით., ელექტრონულად (PDF ფაილის ფორმატში).

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (PDF ფაილის ფორმატში) და shp ფაილებთან ერთად

პატივისცემით,

შპს „ რუსელოის'-ს
დირექტორი: ნ. კევლიშვილი

15/01/2023 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/8421
30/12/2022

8421-21-2-202212301636

შპს „რუსელოისს"
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქუჩა №2, საოფისე ფართი №21
ელ.ფოსტა: ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7512 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის ანგარიშში სრულყოფილად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2022 წლის 28 ოქტომბრის №21/5804 წერილში მითითებული შენიშვნები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სალექარიდან გამოსულ ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების გარდა სხვა არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების არსებობის შესაძლებლობის შეფასება და შესაბამისი ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- წარმოდგენილ უნდა იყოს საწარმოს გენ-გეგმა, სადაც საწარმოო ჩამდინარე წყალთან ერთად, ასევე დატანილი იქნება სანიაღვრე და შლამსაცავებიდან და კუდსაცავიდან ნაჟური წყლების შემკრები სისტემის, აღნიშნული სისტემის გამწმენდ ნაგებობასთან მიერთების და გაწმენდილი წყლის ზედაპირული წყლის ობიექტში (მდ. ჩოლაბური) ჩაშვების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად (თავი 2), სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებულ მანგანუმის შემცველი მადნის კარიერიდან გამამდიდრებელ საწარმოში ნედლეულის შემოტანა ხორციელდება თვითმცლელი ავტომობილებით. დოკუმენტში განხილული უნდა იყოს ავტომობილების ძარის რეცხვისა და ნარეცხი წყლის გაწმენდის და ჩაშვების საკითხები;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ნედლეულის, პროდუქციისა და შლამების/კუდების ტრანსპორტირებისას ავტომანქანების მოძრაობის მარშრუტ(ებ)ი, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ასევე უნდა შეფასდეს ტრანსპორტირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება;

- ვინაიდან სკრინინგის ანგარიშში მოცემულია სხვადასხვა მონაცემები, დაზუსტებას საჭიროებს მადნის გაცხრილვის შემდეგ წარმოქმნილი ფრაქციის ზომა;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალექარში დაგროვილი ნარჩენი შლამის გამოყენება შესაძლებელია როგორც სამშენებლო მიზნებისათვის, შემავსებელ მასალად, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა საქმიანობაში. ვინაიდან, შლამი წარმოადგენს ნარჩენს, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენის (შლამის) საბოლოო მართვის საკითხი;
- განახლებულ სკრინინგის ანგარიშში წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით, შესაბამისი გვერდების მითითებით;
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად (PDF ფაილის ფორმატში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გაშზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7794
15/12/2022

7794-21-2-202212151357

შპს „რუსელოისს"
მის: ქ. თბილისი, ბროსეს ქუჩა №2, საოფისე ფართი №21
ელ.ფოსტა: ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7205 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებას.

წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ დანართის სახით წარმოდგენილია სკრინინგის განაცხადი (ელექტრონული ვერსია), თუმცა აღნიშნული დოკუმენტი განცხადებას თან არ ერთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს სკრინინგის განცხადების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6472
28/10/2022

6472-21-2-202210281659

შპს „რუსელოისს"
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქუჩა №2, საოფისე ფართი №21
ელ.ფოსტა: ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5097 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სალექარიდან გამოსულ ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების გარდა სხვა არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების არსებობის შესაძლებლობის შეფასება და შესაბამისი ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- წარმოდგენილი უნდა იყოს სალექარში დაგროვებული შლამის რაოდენობა და ამოღების სიხშირე, ასევე მისი საბოლოო მართვის საკითხი;
- წარმოდგენილ უნდა იყოს საწარმოს გენ-გეგმა, სადაც საწარმოო ჩამდინარე წყალთან ერთად, ასევე დატანილი იქნება სანიაღვრე და შლამსაცავებიდან და კუდსაცავიდან ნაჟური წყლების შემკრები სისტემის, აღნიშნული სისტემის გამწმენდ ნაგებობასთან მიერთების და გაწმენდილი წყლის ზედაპირული წყლის ობიექტში (მდ. ჩოლაბური) ჩაშვების შესახებ ინფორმაცია;
- განცხადებაში წარმოდგენილია თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ძევრის მიმდებარედ არსებული საბადოს ნედლეულის დახასიათება, ამასთან ანგარიშში (თავი 2) აღნიშნულია, რომ საწარმოში ნედლეულის შემოტანა ხდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სეფარეთიდან. ამავე თავში აღნიშნულია, რომ სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებული მანგანუმის მადნის კარიერიდან საწარმოში მადნის შემოტანა ხორციელდება თვითმცლელი ავტომანქანებით. აღნიშნულიდან გამომდინარე დაზუსტებას საჭიროებს საიდან მოხდება ნედლეულის შემოტანა, შესაბამისი საბადოზე მოპოვებული მადნის დახასიათებით, ასევე მოცემული უნდა იყოს საბადოდან მადნის ტრანსპორტირების სქემა;

- წარმოდგენილი უნდა იყოს ნედლეულის, პროდუქციისა და შლამების/კუდების ტრანსპორტირებისას ავტომანქანების მოძრაობის მარშრუტ(ებ)ი, მოძრაობის გეგმა-გრაფიკი, ასევე უნდა შეფასდეს ტრანსპორტირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება;
- განხილული უნდა იყოს კარიერ(ებ)ზე ავტომობილების ძარის რეცხვისა და ნარეცხი წყლის გაწმენდის და ჩაშვების საკითხები;
- ვინაიდან სკრინინგის ანგარიშში მოცემულია სხვადასხვა მონაცემები, დაზუსტებას საჭიროებს მადნის გაცხრილვის შედეგად წარმოქმნილი ფრაქციის ზომა;
- წარმოდგენილი უნდა იყოს მდ. ჩოლაბურიდან წყალაღებისთვის საჭირო სატუმბი დანადგარის მაქსიმალური წარმადობის დროის ერთეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

შპს „ რუსელოის”-ის

მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლა სკრინინგის ანგარიში

ქ. თერჯოლა, ყოფილი შამპანურის ქარხნის ტერიტორია

შემსრულებელი : შპს „ ელსჰაუსი”

(ს/კ 412756334)

დირექტორი: ზ.კვაბზირიძე.

ტელ: 577-74-77-33

დამკვეთი: შპს „რუსელოის”

(ს/კ 404504327)

დირექტორი: ნუგზარ კევლიშვილი

ტელ: 599 57 01 82

ქ. ქუთაისი 2022 წელი

შინაარსი

შესავალი ----------გვ. 3-4

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ ----------გვ.5-6
2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საქმიანობის ზოგადი აღწერა---------გვ.6-9
3. საწარმოს ტექნოლოგიური პორცესისი სქემა----------გვ.10
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ინფრასტრუქტრული ობიექტები ----------გვ11-12
5. გამოყენებული ბუნებრივი რესურსები ----------გვ. 14-15
6. საწარმოს წყლის გამოყენების დახასიათება ----------გვ. 16-17
7. საწარმოს ჩამდინარე წყლები ----------გვ 18-20
8. საწარმოს ტერიორიაზე განსახორციელებელი ცვლილებები ----------გვ 21-22
9. გამწმენდი ნაგებობის დახასიათება ----------გვ 22-24
10. ტერიტორიის ფონური მდგომარეობის მოკლე დახასიათება ----------გვ 24-27
11. ზემომოქედების შეფასება ----------გვ 27
12. ზემომოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდი მიწაზე----------გვ 27
13. ზემომქედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე ----------გვ 28
14. ზემომოქედება ზედაპირული წყლის ობიექტებზე ----------გვ28
15. ნიადაგისა და გრუნტის წყლების დაბინძურება ----------გვ 29
16. ზემომქედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ----------გვ 29
17. ზემომოქედება სატრანსპორტო ნ აკადზე ----------გვ 29
18. ნარჩენების წარმომქნა და მისი მასა ----------გვ 29-30
19. ატმოსფერულ ჰაერის ხარისხი და მასზე ზემომოქედე ----------გვ31
20. ხმაურით გამომწვეული ზემომოქედება ----------გვ31
21. კუმულაციური ზემომოქედება ----------გვ32
22. დანართი 33

    სამეწარემო ამონაწერები, საკდასრტო გეგმა

    გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

    სამინისტროს წერილები

შესავალი

შპს ,,რუსელოის''-ის (ყოფილი შპს ,,ა.დ.ვ.-ტოგო'') მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო განთავსებულია ქ. თერჯოლაში (საკ. კოდი: 33.09.43.699), თბილისი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალიდან თერჯოლის გადასახვევის მოპირდაპირედ, გზის მარცხენა მხარეს, ყოფილი შამპანურის ქარხნის ტერიტორიაზე. მანძილი საწარმოსა და მოსახლეობას შორის 1000მ-ია, ხოლო მდ. ჩოლაბურამდე - 800 მ.

საწარმოს მიზანია ლიცენზირებული ტერიტორიიდან აღებული მანგანუმის შემცველი მადნის გამდიდრება და მის გამოყენებასთან დაკავშირებით სხვა და სხვა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების გზით მოგების მიღება.

2008 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ყოფილი შპს ,,ა.დ.ვ.-ტოგოს'' (შემდგომში შპს ,,რუსელოის'') სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება, დაბა თერჯოლა) გაიცა N38 (19.11.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემომქედების ნებართვა.

2014 კომპანიების ერთობლივი მომათვის საფუძველზე შპს ,, ა.დ.ვ. ტოგოზე'' გაცემული ნებართვა გადაეცა შპს რუსმეტასლ'', ხოლო 2016 წლს ზემოაღნიშნული ნებართვა შპს ,, რუსმეტალი''-საგან გადაეცა შპს ,, რუსელოის''-ს.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის '' 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2020 წლის 13 ნოემბერს შპს ,,რუსელოისის'' გენერალურმა დირექტორმა სამინისტროს მიმართა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N2-1095 ბრძანების საფუძველზე შპს ,,რუსელოისის'' სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა N38; 19.11.2008). საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრა ვალდებულება უზურნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

გარემოსდაცვითი ხედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 13 აგვისტოს NDES 92100000204 ბრძანების საფუძველზე შპს „რუსელოის"-ის კუთვნილი სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გადამამუშავებელი საწარმოს გეგემიური შემოწმების შედეგებიდან გამოვლინდა დარღვევები, კერძოდ საწარმოს ექსპლუატაციის დროს შლამსაცავებიდან და კუდასაცავებიდან წარმომქნილი ნაჟური წყლები შეკრებისა და გამწმენდის გარეშე ჩაედიებოდა მდ. ჩოლაბურში, რაც არ არის გათვალისწინებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N2-1095 ბრძანებით გაცემული გრემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „რუსელოის"-ის მიმართ შემუშავებული იქნა 2022 წლის 12 ივლისის N002313 ადმინისტრაციული მიწერილობა, რომლის საფუძველზეც საწარმოს დაევალა საპროექტო ტერიტორიაზე გარკვეული ცვლილებების განხორციელება კერძოდ, ერთი თვის ვადაში სანიაღვრე ჩამდინარე წყლების და შლამსაცავებიდან და კუდ საცავებიდან ნაჟური წყლების შემკრები არხების მოწყობა და სალექარის გავლით გაწმენდილი წყლის მდ. ჩოლაბურში ჩაშვება.

საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა". შესაბამისად წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სკრინინგის განაცხადის ძირითად დანართს, სადაც განხილულია და შეფასებულია საპროექტო ცვლილებებით მოსალოდნელი ზემოქმედებები, გარემოს სხვადასხვა კომპონენტების მიმართ.

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

შპს ,,რუსელოის''-ის (ყოფილი ა.დ.ვ. ტოგო''-ს) მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ქარხნის მიზანია საწარმოს მიერ ლიცენზირებული ტერიტორიიდან აღებული მანგანუმის შემცველი მადნის გამდიდრება.

ზოგადი ცნობები მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ქარხნის შესახებ მოცემულია

ცხრილი N1

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ	
ობიექტის დასახელება	შპს ,, რუსელოის''
საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ 404504327
ობიექტის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი მთაწმინდის რაიონი , ბროსეს ქუჩა N2, საოფისე ფართი N21
ფაქტიური მისამართი	ქ. თერჯოლა, საკადასტრო კოდი:33.09.43.669
ობიექტის ხელმძღვანელი: გენერალური დირექტორი	ნუგზარ კევლიშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	დავით ვაჩიბერაძე ტელ: 599 57 01 82 არჩილ ხატიაშვილი ტელ: 599 04 94 00
ელექტრონული ფოსტა	ltd.elshouse@gmail.com
საკონსულტაციოს ფირმა	შპს ,, ელსჰაუსი''
საკონტაქტო ტელეფონი	596098000
განთავსების ადგილის GPS კოორდინატი	X-330345 Y-4669321
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	1000 მ
ეკონომიკური საქმიანობა	მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	მანგანუმის კონცენტრატი
საპროექტო წარმადობა	8,3 ტონა/საათში (20 000ტ/წელ)
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	17ტ/სთ, ანუ 40 800 ტონა ნედლეული
საწვავის სახეოვა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენების გარდა)	-
სამუშაო საატების რაოდენობა წელიწადში	2400 საათი/წელ, 300 დღე/წელ
ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში,სთ	8 საათი/დღე-ღამეში

საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2

ცხრილი N2

წერტ. N	წერილის GPSკოორდინატები	
	X	Y
1	330345	4669321
2	330338	4669314
3	330344	4669270
4	330335	4669232
5	330327	4669223
6	330201	4669332
7	330234	4669370
8	330261	4669399

2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და მიმდინარე საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის დახასიათება

შპს „რუსელოის"-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ქარხანა განთავსებულია ქ. თერჯოლაში (საკადასტრო კოდი: 33.09.43.669), თბილისი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალიდან თერჯოლის გადასახვევის მოპირდაპირედ, გზის მარცხენა მხარეს, ყოფილი შამპანურის ქარხნის ტერიტორიაზე. მანძილი საწარმოსა და მოსახლეობას შორის 1000მ-ია, ხოლო მდ. ჩოლაბურამდე - 800 მ. საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 1კმ მანძილით. საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან დასავლეთ მხარეს დაახლოებით 400 მ მანძილზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკ. კოდ: 33.09.43.670) წარმოადგენს მეცხოველეობის ფერმას და სამწყესურს. (ქარხნის ტექნოლგიური სქემა მოცემულია ნახაზ. N1-ში)

ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობა ხორციელდება მანგანუმის დაჟანგული და მცირე დაჟანგული მადნის სველი გრავიტაციული მეთოდით გამდიდრების მიზნით.

მანგანუმის შემცველი კარბონატული დაჟანგული და მცირედ დაჟანგული მადნების გრავიტაციული მეთოდით (დალექვა, მძიმე სუსპენზიებში გამდიდრება) გამდიდრების საკვლევი სამუშაოები დაიწყო ჯერ კიდე წინა საუკუნის 50-იან წლებში. მრავალი

სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შედეგად საბოლოოდ დადგენილი იქნა კარბონატული დაჟანგული მადნების გამდიდრების ტექნოლოგია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებული კარიერიდან მოპოვებული დაჟანგული მადნები წარმოადგენენ კარბონატული მადნების დაჟანგვის პროდუქტს. მანგანუმის ძირითადი მინერალებია პიროლუზიტი, პსილომელანი, ვერნადიტი და მცირე რაოდენობით მანგანუმის კარბონატები. აღნიშნული მინერალ;ების პროცენტული შემადგენლობა კარიერის სხვა და სხვა ადგილის ფარგლებში არაერთგვაროვანია და აქედან გამომდინარე ზუსტი ციფრული მონაცემები არ არის მოყვანილი, რაც შეეხება მადანში მანგანუმის შემადგენლობას იგი მერყეობს 35-38%-ის ფარგლებში. მადანში მანგანუმის პროცენტული შემადგენლობიდან გამომდინარე და იმის მხედველობაში მიღებით, რომ გამდიდრების პროცედურის შედეგად შესაძლებელია მანაგანუმის 3-4 % გაყვეს შლამებსა და კუდებს, მოსალოდნელია წელიწადში პროექტით განსაზღვრული 20 000 ტონა ნედლეულის გადამუშავების შედეგად ნარჩენის სახით (კუდები, შლამები) წარმოიქმნას დაახლოებით 14000 ტონა, ხოლო სასარგებლო პროდუქციამ შეიძლება შეადგინოს დაახლოებით 7000 ტონა.

როგორც ზემოთ აღინიშნა საწარმოს მიერ ხორცილედება მანგანუმის დაჟანგული და მცირედ დაჟანგული მადნის სველი გრავიტაციული გამდიდრების მეთოდის გამოყენებით. საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე ბიზნეს-გეგემით დადგენილი გრაფიკით, სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება წელწადში 300 დღით, ერთცვლიანი (8სთ) სამუშაო დროით, რაც წლიურად შეადგენს 300 X 8= 2400 სთ. საათური წარმადობა ტოლი იქნება 20000 /2400=8,3 ტ/საათში.

საწარმოში ნედლეულად გამოიყენება თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებულ მანგანუმის შემცველი მადნის კარიერში მოპოვებული ნედლეული. სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებულ მანგანუმის შემცველი მადნის კარიერიდან გამამდიდრებელ საწარმოში ნედლეულის შემოტანა ხორციელდება თვითმცლელი ავტომანქანებით. მანძილი კარიერიდან გამამდიდრებელ საწარმომდე დაახლოებით 18 კმ -ია. თერჯოლის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზა. საზოგადოებრივი სატრანსპორტო კვანძი კარგადაა განვითარებული,

ასევე სოფლებთან დამაკავშირებელი შიდა საავტომობილო გზები. საწარმოო ობიექტის განთავსების ტერიტორიასთან ცენტრალური საავტომობილო გზიდან მიყვანილია გრუნტის საავტომობილო გზა, რომლის ტექნიკური მდგომარეობა სიგრძე, სიგანე დამაკმაყოფილებელია.

ყოველი 1 ტონა მანგანუმის შემცველი მადნის გამამდიდრებელი მადნის მისაღებად საწარმოს ესაჭიროება დაახლოებით ზემოთ აღნიშნული მადნის 2 ტონა ნედლეული 22-24% -იანი მანგანუმის შემცველობით.

საწარმოში შემოზიდული ნედლეული თავსდება მისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, გადახურული ნაგებობის მიმდებარედ, საიდანაც ხორციელდება მისი ჩატვირთვა მიმღებ ბუნკერში. მიმღები ბუნკერიდან ლენტური ტრასპორტიორის მეშვეობით მადანი მიეწოდება ვიბრაციულ ცხავს. მადნის გაცხრილვის შემდეგ 8 მმ-ზე მცირე ზომის ფრაქცია გადადის სპირალურ კლასიფიკატორში, ხოლო ცხავზე დარჩენილი ნაწილი (10-15 მმ ფრაქცია) მიეწოდება ყბებიან სამსხვრეველას, რომელშიც წარმოებს მადნის დაქუცმაცება მისაღებ 8მმ-ზე ნაკლებ, 6მმ ზომამდე. ყბებიანს სამსხვრეველადან მიღებული მადანი უბრუნდება ვიბრაციულ ცხავს, რომლიდანაც გაცხრილული ნაწილი მიეწოდება სპირალურ კლასიფიკატორს. კლასიფიკატორში ხდება მადნის გაწყლოვანება. ტექნოლოგიური ციკლისათვის საჭირო ტექნიკური წყალმომარაგება ხდენა მდ. ჩოლაბურიდან, სატუმბი დანადგარის საშუალებით. (წყალაღების წერილის კოორდინატია: X- 330084; Y- 4669405, წყალჩაშვების კოორდინატია : X-330067, Y-4669435.)

წყალაღება მოხდება წყალაღების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. ტუმბოს პარამეტრებია: 25 კვტ-იანი, მაქსიმალური წარმადობა - 60მ³/სთ. წყალაღების მილის დიამეტრია 100მმ. წყალაღების წერტილიდან წყლის მისაყვანი მილის სიგრძე საპროექტორ ტერიტორიამდე (დანადგარამდე) შეადგენს 150 მ-ს.

ტექნოლოგიური სქემის შემდეგ ეტაპზე კლასიფიკატორიდან მასა გადადის სალექარ დანადგარში, რომელშიც ხდება მანაგნუმის კონცენტრატისა და კუდების (ფუჭი ქანების, რომელშიც მანგანუმის კონცენტრატი 1%-ის ფარგლებშია) გამოყოფა. მანგანუმის კონცენტრატი ჯამებიანი ელევატორით გადადის მზა პროდუქციის ბუნკერში, რაც შეეხება კუდებს, მისი გადატვირთვა ხდება მეორე სპირალურ კლასიფიკატორში,

რომელშიც ხდება კუდების გაუწყლოვანება. რომლის დროსაც შლამიანი წყალი მილგაყვანილობის მეშვეობით გადაიტვირთება შლამის მიმღებ ტბორში, ხოლო უფრო მსხვილი მასა კუდების სახით - კუდსაცავში. შლამის მიმღები ტბორიდან დალექილი გაუწყლოებული შლამი გადაიტანება მიმდებარე შლამსაყარზე, რომლის ფართობი დაახლოებით 500 კვ.მ -ია.

სალექარის ბოლო სექციიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყალის ჩადინება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი ღია არხით, რომლის სიგრძე 200მ-ია, სიგანე 2,5 მ და ჩაედინება მდ ჩოლაბურში. (წყალჩაშვების კოორდინატია : X-330067, Y-4669435.)

საწარმოს წარმადობაა 17 ტონა 22-24%-იანი მანგანუმის შემცველი ნედლეულის გადამუშავება საათში, საიდანაც მიიღება 8,333 ტონა გამდიდრებული მადანი 32%-ი მანგანუმის შემცველობით საათში. საწარმო იმუშავებს ერთცვლიანი (8სთ) სამუშაო რეჟიმით, წელიწადში 300 სამუშაო დღით.

მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ტექნოლოგიური სქემა მოცემულია ნახაზ 1-ში.

მანგანუმის მადნის დამამდიდრებელ საწარმოს ტერიტორიაზე არ განხორციელდება კარიერიდან შემოსული ნედლეულით დატვირთული და ასევე პროდუქციის, შლამებისა/კუდების გატანისთვის განთუთვნილი ავტოთვიმცლლების ძარის გარეცხვა, ასევე არ მოხდება საწარმოში მათი შეკეთება რემონტი.

ნედლეულის, პროდუქციისა და შლამების/კუდების ტრანსპორტირებისას ავტომანქანები სისტემატიურად იქნება შემოწმომებული ტექნიკურ გამართულობაზე, მოძრაობის სიჩქარის დაცვაზე.

ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის სქემა

ნახაზი 1

(გენ-გეგმა)



1. პანდუსი, 2. ბუნკერი, 3. ვიბროცხავი, 4. ყბებიანი სამსხვრევი, 5. სპირალური კლასიფიკატორი, 6 სალექი დაზგა , 7 გაუწყლოების უბანი, 8. სალექარი, 9. კუდასაცავი, 10. შლამის გაუწყლოების უბანი. 11. სალექარიდან მდ. ჩოლაბურში ჩამდინარე წლის ღია არხი, 12, სადრენაჟე და სანიაღვრე არხები, 13 წყალსადენი მილი, 14. სატუმბი სადგური, 15 წყალსემკრები ტბორი, 16 მდ. ჩოლაბურში წყალჩაშვების ადგილი

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ინფრატრუქტურული ობიექტები

მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს გარემოზე ზემომქედების შეფასების ანგარიშის დოკუმენტაციის შესაბამისად: შპს ,,რუსელოისი''-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო მოწყობილია და ფუნციონირებს 2009 წლიდან, ქ. თერჯოლაში (საკადასტრო კოდი: 33.09.43.669), თბილისი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალიდან თერჯოლის გადასახვევის მოპირდაპირედ, გზის მარცხენა მხარეს, ყოფილი შამპანურის ქარხნის ტერიტორიაზე. მანძილი საწარმოსა და მოსახლეობას შორის 1000მ-ია, ხოლო მდ. ჩოლაბურამდე - 800 მ. საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 1კმ მანძილით. (ტექნოლგიური სქემა მოცემულია ნახაზ. N2-ში)

ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობა ხორციელდება მანგანუმის დაჟანგული და მცირე დაჟანგული მადნის სველი გრავიტაციული მეთოდით გამდიდრების მიზნით.

მადნის გამდიდრების სქემა შემდეგია:



ნახაზი 2.

მადანი კარიერიდან შემოიზიდება ავტოთვითმცლელებით და იყრება მადნის მიმღებ ბაქაბზე, საიდანაც ბულდოზერით მიეწოდება ნედლეულის ბუნკერს, ბუნკერის მოცულობა 5 m^3 -ია. ბუნკერიდან ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ვიბრაციულ ცხავს.

ვიბრაციულ ცხავზე ემატება ტექნიკური წყალი, ირეცხება 16 მმ-მდე ზომის მადანი, რომელიც წყალთან ერთად მიეწოდება სპირალურ კლასიფიკატორს გასარეცხად.

ვიბროცხავზე დარჩენილი დიდი ზომის მადანი იყრება ყბებიან სასმხვრველაში (СМД), საიდანაც დაქუცმაცებულია ჯამებიანი ელევატორიტ ბრუნდება ვიბროცხავზე , პროცესი გრეძელდება განუწყვეტლივ.

გარეცხვის შემდეგ მადანი მიეწოდება ორკამერიან სალექ მანქანას (МОД -2) სალექ დაზგაზე ხდება ორი ფრაქციის - კონცენტრატისა და კუდის გამოყოფა და გაუწყლება, რომლებიც ჯამებიანი ელევატორებით იყრება კუდებისა და მზა პროდუქციის ბუნკერებში.

ბუნკერები მოწყობილია შენობის გარეთ, მათი შევსების შემთხვევაში კონცენტრატის ჩამოყრა გათვალისწინებულია ავტოთვითმცლელის ძარაზე, რომლითაც გაიზიდება საწარმოს ტერიტორიიდან. კუდების ბუნკერის შევსების სემთხვევაში ხდება მისი გადატანა სასაწყობე მეურნეობაში.

ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი შლამიანი წყალი იკრიბება და ჩაედინება ჰორიზონტალურ სალექარში, საიდანაც შემდეგს ჩადის მდ. ჩოლოყაბურში, შლამი კი გასაუწყლოებლად საწყობედება სპეციალურად მოწყობილ ბაქანზე და გაუწყოლების შემდეგ გაიზიდება ტერიტორიიდან.

3.1 ტექნოლოგიური დანადგარების ნუსხა

ტექნოლოგიური დანადგრების ჩამონათვალი და მახასიათებლები მოცემულია ცხრილში N2

ცხრილი N2

№	მოწყობილობა–დანადგარების დასახელება	რაოდენობა	მწარმოებელი	მოკლე დახასიათება
1.	ლენტური ტრანსპორტიორი	1	რუსული	სიგრძე–6 მ, სიგანე 0,75 მ, ელ. ძრავი– 6 კვტ.
2.	ვიბრაციული ცხრილი გილ–42	1	რუსული	B x L 1500 x 4500 n- 1000 ბრ/წთ. ელ ძრავი 11 კვტ
3.	სამტვრეველა	1	რუსული	ყბებიანი, 108 მმ–იანი ელ ძრავი 38 კვტ
4.	ჯამებიანი ელევატორი	2	რუსული	ჯამების მოცულობა 16 ლ [illegible] ძრავი 6,5 კვტ.
5.	სპირალური კლასიფიკატორი კსნ – 1,2	1	რუსული	სპირალის რიცხვი –1, დიამეტრი 1200 მმ, აბაზანის სიგრძე 8400 მმ, ელ ძრავი 6,5 კვტ
6.	სალექი მანქანა (ორკამერიანი) მოდ–2	1	რუსული	კამერების რაოდენობა 2. RxLx2 – 2000x1000 მმ. პულსაციის რიცხვი 130–250 წთ–ში. ძრავის სიმძლავრე 2,5 კვტ/სთ
7.	წყლის ტუმბო	1	რუსული	5ГР, ელ ძრავის სიმძლავრე 18 კვტ/სთ
8.	მკვებავი ბუნკერი	1		[illegible]

3.2 გამოყენებული ბუნებრივი რესურსები

საწარმოს ნედლეულია მანგანუმის დაჟანგული და მცირედ დაჟანგული მადანი, რომელიც მოიპოვება თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრის მიმდებარე საბადოზე, როემილც წარმოდგენილია მნაგანუმის დაჯანგული მინერალებით: პიროლუზუტი, პსილმედანით, ვერნაქტისა და მცირე რაოდენობით კარბონატის მინერალებით.

მადანში მანგანუმის შემდველობა მეყეობს 35-38 % მდე ვინაიდან მადანი ზედაპირულია უმტავსესაად წარმოდგენილია წვრილმარცვლოანი სახით ნატეხების ზომა აღწევს 150 მმ-მდე. გამდიდრების მაჩვენებელი 30-34 %-ია

ყოველი 1 ტონა მანგანუმის შემცველი მადნის გამამდიდრებელი მადნის მისაღებად საწარმოს ესაჭიროება დაახლოებით ზემოთ აღნიშნული მადნის 2 ტონა ნედლეული 22-24% -იანი მანგანუმის შემცველობით.

მადანში მანგანუმის პროცენტული შემადგენლობიდან გამომდინარე და იმის მხედველობაში მიღებით, რომ გამდიდრების პორცედურის შედეგად შესაძლებელია მანაგანუმის 3-4 % გაყვეს შლამებსა და კუდებს, მოსალოდნელია წელიწადში პროექტით განსაზღვრული 20 000 ტონა ნედლეულის გადამუშავების შედეგად ნარჩენის სახით (კუდები, შლამები) წარმოიქმნას დაახლოებით 14000 ტონა, ხოლო სასარგებლო პროდუქციამ შეიძლება შეადგინოს დაახლოებით 7000 ტონა.

როგორც ზემოთ აღინიშნა საწარმოს მიერ ხორცილედება მანგანუმის დაჟანგული და მცირედ დაჟანგული მადნის სველი გრავიტაცილი გამდიდრების მეთოდის გამოყენებით. საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე ბიზნეს-გეგემით დადგენილი გრაფიკით, სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება წელწადში 300 დღით, ერთცვლიანი (8სთ) სამუშაო დროით, რაც წლიურად შეადგენს 300 X 8= 2400 სთ. საათური წარმადობა ტოლი იქნება 20000 /2400=8,3 ტ/საათი.

ტექნოლოგიური პროცესისი ერთ-ერთი აუცილებელ რესურს წარმოადგენს წყალი, რომელსაც საწარმომიღებს მდ. ჩოლაბურიდან რისთვისაც მდინარეზე მოწყობილია წყლის შემკრები გუბურა და სატუმბი სადგური. ასევე საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ლიცენზირებული შახტური ჭა (X- 330200, Y-4669365), რომლიდანაც წყალი გამოიყენება სამეურნეო დანიშნულებით (საშხაპე, საპირფარეშო).

საწარმოს გათვალისწინებული სიმძლავრის მიხედვით საწარმოს წლიური მწარმოებლურობაა 20 000 ტ მადანი წელიწადში და 8,3ტ/საათში. ერთი ტონა მადნის მოსარეცხად საჭიროა 4 კუბ.მ წყალი, ამიტომ საწარმოსათვის საჭიროა 8 საათიანი დროის განმავლობაში 66,4ტ x 4მ^3= 265,6 მ^3 , ხოლო წელიწადში -79 680მ^3 წყალი.

გამოყენებული რესურსებიდან არსანიაშნავია არასასოფლო-სამეურენო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია საწამო. სხვა ბუნებრივ რესურს საწარმო არ იყენებს.

3.3 საწარმო წყლის გამოყენების დახასიათება

საწარმოს წყალი ესაჭიროება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისათვის. სასმელი წყლის შემოტანა ხორციელდება სპეციალური ჭურჭლებით თერჯოლის წყამომარაგების ქსელიდან. ასევე საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ლიცენზირებული შახტური ჭა (X- 330200, Y-4669365), რომლიდანაც წყალი გამოიყენება მხოლოდ სამეურნეო დანიშნულებით (საშხაპე, საპირფარეშო).

ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდება მანგანუმის დაჟანგული და მცირედ დაჯანგული მადნის გამდიდრებისათვის სველი-გრავიტაციული მეთოდით, ამიტომ წყალი ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთი აუცელებელი კომპონენტია.

საწარმო ტექნიკური წყალს იღებს მდ. ჩოლაბურიდან საკუთარი სატუმბი სადგურით. წყალაღების წერილის კოორდინატია: X- 330084; Y- 4669405, წყალჩაშვების კოორდინატია : X-330067, Y-4669435. ტექნიკური წყალი იხსმება ვიბროცხავზე მადანთან ერთად და გამოიყენება მადნის მოსარეცხად . მადნის გაუწოლობის დროს გადანადენ წყალს მიყვება შლამი, რომელიც შედგება უხსნადი მცირე ზომის ნაწილაკებისაგან.

შლამიანინ წყალი შეიკრიბება ტექნოლოგიურ მოედანზე და არხებით და მილგაყვანილობით ჩაედინება ჰორიზონტალურ სალექარში, რომელშიც ხდება შლამების დალექვა და ჩამდიანრე წყლების გაწმენდა.

წყალაღება მოხდება წყალაღების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. ტუმბოს პარამეტრებია: 25 კვტ-იანი, მაქსიმალური წარმადობა - 60მ³/სთ. წყალაღების მილის დიამეტრია 100მმ. წყალაღების წერტილიდან წყლის მისაყვანი მილის სიგრძე საპროექტორ ტერიტორიამდე (დანადგარამდე) შეადგენს 150 მ-ს.

ტექნოლოგიური სქემის შემდეგ ეტაპზე კლასიფიკატორიდან მასა გადადის სალექარ დანადგარში , რომელშიც ხდება მანაგნუმის კონცენტრატისა და კუდების (ფუჭი ქანების, რომელშიც მანგანუმისკონცენტრატი 1%-ის ფარგლებშია) გამოყოფა. მანგანუმის კონცენტრატი ჯამებიანი ელევატორით გადადის მზა პროდუქციის ბუნკერში, რაც შეეხება კუდებს, მისი გადატვირთვა ხდება მეორე სპირალურ კლასიფიკატორში, რომელშიც ხდება კუდების გაუწყლოვანება. რომლის დროსაც შლამიანი წყალი მილგაყვანილობის

მეშვეობით გადაიტვირთება შლამის მიმღებ ტბორში, ხოლო უფრო მსხვილი მასა კუდების სახით - კუდსაცავში. შლამის მიმღები ტბორიდან დალექილი გაუწყლოებული შლამი გადაიტანება შლამსაყარზე, რომლის ფართობი დაახლოებით 500 კვ.მ -ია.

სალექარიდან ბოლო სექციიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყლის ჩადინება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი ღია არხით, რომლის სიგრძე 200მ-ია, სიგანე 2,5 მ და ჩაედინება მდ ჩოლაბურში. (წყალჩაშვების კოორდინატია : X-330067, Y-4669435.)

წყლის გამოყენება ჩაშვების სქემა 3.



ნახაზი 3.

ტექნოლოგიაში გამოყენებული წყალი დიდი რადენობით შეიცავს 0,5 მმ-ზე მცირე ზომის შეწონილ ნაწილაკებს, ამიტომ მისი მოშორება ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის მნიშვნეოვანია განისაზღვროს მცირე ზომის ნაწილაკების დალექვის დრო.

სტოქსის ფორმულის მიხედვით ნაწილაკების დალექვის სიჩქარე იანგარიშება ფორმულით:

$$u_0 = \frac{1}{18} \times \frac{p_1 - p}{\mu} \times gd^2$$

სადაც: u_0 – არის ნაწილაკების დალექვის სიჩქარე, მ/წმ.

d – ნაწილაკების დიამეტრი;

p_1 - ნაწილაკების სიმკვრივე, კგ/მ³.

p – სითხის სიმკვრივე;

μ – სითხის დინამიური სიბლანტის კოეფიციენტი;

g – სიმძიმის ძალის აჩქარება.

ფორმულის მიხედვით მოცემულ შემთხვევაში დალექვის სიჩქარე ტელია:

$u_0 = 0{,}36$ მ/სთ.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლები წარმოექმნება ატმოსფერული ნალექების შედეგად. სანიაღვრე წყლების დაბინძურება ძირითადად შესაძლებელია შლამსაყარიდან და ნაწილობრივ ტერიტორიაზე დასაწყობებეული მანაგნუმის მადნის სანაყაროდან. ვინაიდან ტერიტორიაზე წარმომქნილი მანგანუმით დაბინძურებული სანიაღვრე ჩამდინარე წყლებით მანგანუმის კონტენტრაციის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. რადგან იგი დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე. ამიტომ გათვალიწინებულია როგორც საწარმოს ტერიტორიაზე ასევე შლმსაყარის პერიმეტრის შემოსაზღვრა დამწრეტი არხებით, რომლებსაც მიურთდება შლამსატარიდან და კუდასაცვიდან წარმომქნილი ჩამდინარე წყლები. მთლიანობაში წარმომქნილი ჩამდინარე წყლები მიერთებული იქნება გამწმენდ ნაგებობასათნ.

საწარმოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მოცულობა დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე და ტერიტორიის ზედაპირის მახასიათბელ პარამეტრებზე. არსებული მეთოდოლოგიით სანიაღვრე წყლების მოცულობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q=10xFxHxK$$

სადაც,

Q - სანიაღვრე წყლების მოცულობა $მ^3$/დღე

F - ტერიტორიის ფართობი ჰა-ში, მიღებულია 1,27 ჰა

H - ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა (თერჯოლის რაიონში ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა 1000—1190 მმ წელიწადში, საათური მაქსიმუმი 11 მმ)

K- კოეფიციენტი რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე, რაც მოცემულ შემთხვევაში ხრეშის საფარისთის აღებულია 0,04.

გათვლების შედეგები შემდგენაირია:

$$Q_{წელ}=10x1,27x1190x0,04=604,5\ მ^3/წელ$$

$$Q_{სთ}=10x1,27x11x0,04=5,5\ მ^3/სთ$$

ჯამური წყლის ჩაშვება სალექარში დამუშავებული მასალისა და წლიური მაქსიმალური სანიაღვრე წყლების წარმოქმნის გათვალისიწინებით იქნება 63 744 + 604,5= 64 348 ,5 $მ^3$/წელ. გამწმენდი ნაგებობის (სალექარის) პარამეტრები გათვლილი იქნება მაქსიმალურ წარმადობაზე, რომელიც იქნება 700 $მ^3$/დღეში. სალექარის გავლის შემდეგ გაწმენდილი ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება მდ. ჩოლაბურში, ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატია: X-330067, Y-4669435.

საწარმოო წყლის მექანიკური გაწმენდის შემდეგ, შეწონილი ნაწილაკების და მანგანუმის კონცენტრაცია ჩამდინარე წყალში არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ნორმებს.

4. საწარმოს ტერიტორიაზე განსახორციელებლი ცვლილებები

შპს „რუსელოის"-ის კუთვნილი სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გადამამუშვებელი საწარმოს გარემოზე ზემომქედების ანგარიშის დოკუმენტაციის შესაბამისად ტექნოლოგიური ციკლისთვის საჭირო წყალაღება გათვალიწინებული იყო ტერიტორიაზე არსებული ტექნიკური წყლების შემკრები რეზერვუარიდან (ტბორებიდან), სატუმბი დანადგარის საშულებით, ასევე სადრენაჟე გამწმენდი სისტემდან (სალექარის ტბორიდან) გადატუმბული შეწონილი ნაწილაკებიდან გაწმენდილი წყლით. გამწმენდ სადრენაჟე ნაგებობაში გათვალისიწნებული იყო როგორც საწარმოს ტერიტორიაზე წარმომქნილი ჩამდინარე წყლების, ასევე შლამიმღები ტბორიდან და კუდსაცავიდან შემკრები არხებით მიმართული ნაჟური წყლების ჩაშვება. ტექნიკური წყალმომარაგების სისტემა წარმოადგენდა წყალბრუნვის ჩაკეტილ ციკლს.

ბოლო წლებში საწარმოში განხორციელდა ცვლილებები, ტექნოლოგიური ციკლისთვის წყალაღება ხორციელდებოდა მდ. ჩოლაბურიდან და ტერიტორიაზე არსებული ტექნიკური წყლის შემკრები ტბორებიდან აღარ ხდებოდა წყლის გამოყენება. ასევე კომპანიის მიერ 2019 წლის 09 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთნა შეთანხმებული იქნა (წერილი N6880/01, 11/07/2019 ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძერებელ ნივთიერებათ ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმები პორექტი და პროექტის შესაბამისად საწარმოო წყლების ჩაშვება (ჰორიზონტალური სალექარიდან) ხორციელდებოდა მდ. ჩოლაბურში.

გარემოსდაცვითი ხედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 13 აგვისტოს NDES 92100000204 ბრძანების საფუძველზე შპს „რუსელოის"-ის კუთვნილი სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გადამამუშვებელი საწარმოს გეგემიური შემოწმების შედეგებიდან გამოვლინდა დარღვევები, კერძოდ საწარმოს ექსპლუატაციის დროს შლამსაცავებიდან და კუდასაცავებიდან წარმომქნილი ნაჟური წყლები შეკრებისა და გამწმნედის გარეშე ჩაედინებოდა მდ. ჩოლაბურში, რაც არ არის გათვალისწინებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N2-1095 ბრძანებით გაცემული გრემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „რუსელოის"-ის მიმართ შემუშვებული იქნა 2022

წლის 12 ივლისის N002313 ადმინისტრაციული მიწერილობა, რომლის საფუძველზეც საჭირო გახდა საპროექტო ტერიტორიაზე გარკვეული ცვლილებების განხორციელება კერძოდ, ერთი თვის ვადაში სანიაღვრე ჩამდინარე წყლების და შლამსაცავებიდან და კუდ საცავებიდან ნაჟური წყლების შემკრები არხების მოწყობა და სალექარის გავლით გაწმენდილი წყლის მდ. ჩოლაბურში ჩაშვება.

4.1 გამწმენდი ნაგებობის დახასიათება

ჩამდინარე წყლების გასაწმენდად გამოყენებული იქნება ჰორიზონტალური სალექარი,

ჰორიზონტალური სალექრების გაწმენდის ეფექტურობა (ქვიშის დამჭერები) განკუთვნილია ჩამდინარე წყლებში არსებული მსხვილი ზომის (უპირატესად ქვიშა ზომით 0,25მმ და მეტი), ძირითადად არაორგანული წარმოშობის დამაბინძურებელი ნივთიერებების (ან მინარევების) შესაკავებლად. სალექრების მუშაობის ტექნოლოგიური ეფექტიანობა განისაზღვრება შეკავებული ქვიშის რაოდენობით, აგრეთვე ქვიშაში 0,25მმ და მეტი ფრაქციების შემცველობით და სალექრების ჰიდრავლიკური და სამშენებლო პარამეტრებით. სალექრების ტექნოლოგიურად ეფექტური მუშაობისას 0,25მმ და მეტი ზომის ქვიშის ფრაქციების დაჭერის პროცენტი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70%-ს, ხოლო ქვიშის შემცველობა პირველადი სალექრების ნალექში არ უნდა აჭარბებდეს 8%-ს. ასეთი დაჭერის პროცენტის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია გამდინარე ნაწილის საანგარიში სიღრმე მიღებული იქნეს 1,5-დან 4 მეტრამდე, ნაკადის საანგარიშო ჰორიზონტალური სიჩქარე - 0,15-0,3მ/წმ.

ჰორიზონტალური სალექარი მოწყობილია საწარმოს ტერიტირაზე 4 საფეხურად.

არსებული გამწმენდი სისტემა შედგება შემდეგი განყოფილებისაგან. პირველი ორ სალექარში, რომელთა ზომებია 4x4x3 მ, ხდება მსხვილი ზომის შეწონილი ნივთიერებების გამოყოფა. ჩამდინარე წყალი მცირე ზომის ნაწილაკებისაგან გასაწმენდად მიეწოდება გამწმენდის მე-3 და მე-4 სექციებს. მესამე განყოფილების ზომებია 23x4x3მ, მე-4 -ს ზომებია 30x6x3მ, ორივე სალექარის მუშა სიღრმე 3 მეტირა, საერთო მუშა მოცულობა 700$მ^3$. დალექვის საერთო დრო შეადგენს 17 საათს.



გამწმენდი ნაგებობის სქემა 4.

სალექარის ბოლო სექციიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყალის ჩადინება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი ღია არხით, რომლის სიგრძე 200მ-ია, სიგანე 2,5 მ და ჩაედინება მდ ჩოლაბურში. (წყალჩაშვების კოორდინატია : X-330067, Y-4669435.)

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, საწარმოს ტექნოლოგიის გათვალისწინებით, ადგილი ექნება საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდ სალექარში დაგროვილი ლამის წარმოქმნას. რომლის რაოდენობა წელიწადში არ ღემატება 12 000 ტ-ს. აღნიშნული ლამის გამოყენება შესაძლებელია როგორც სამშენებლო მიზნებისთვის ასევე შემავსებელ მასალად, ამასთან მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა

საქმიანობაში. შესაბამისად სალექარში დაგროვილი ლამი ამოღებული იქნება პერიოდულად და გატანილი იქნება სარეალიზაციოდ, როგორც პროდუქტი.

სალექარის სექციებიდან ლამის ამოღება მოხდება საჭიროების და მიხედვით (წელიწადში 3 -ჯერ) ექსკავატორის მეშვეობით და დროებით, გატანამდე (რეალიზაციამდე) განთავსდება სალექარის მიმდებარედ 20მ² ფართის მობეტონებულ ტერიტორიაზე, რომელსაც დაქანება (დახრა) აქვს სალექარის მხარეს, რაც უზრუნველყოფს ლამის გაუწყლოებისას წარმოქმნილი ნაჟური წყლების სალექარში ჩადინებას. იქიდან გამომდინარე, რომ მოსალოდნელი ლამის რაოდენობა წელიწადში მცირეა, დაახლოებით მისი დასაწყობებისთვის ცალკე ტერიტორიის გამოყოფის საჭიროება არ არის და გატანილი იქნება პირდაპირ სარეალიზაციოდ ან მოსახლეობისთვის გადასაცემად.

საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილია განხორციელდეს სანიაღვრე წყლების შემკრები არხების მოწყობა და დაერთება ჰორიზონტალურ სალექართან, ასევე შლამსაცავიდან და კუდასავიდან წარმომქნილი ნაჟური წყლების ამავე სალექართან დაერთება, რაც არ საჭიროებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას.

საწარმოში არ არის დაგეგემილი სხვა ცვლიელბების (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, მათ შორის, ტექნოლოგიური ცვლილება, წარმადობის გაზრდა ან/და სხვა) განხორციელება.

5. ტერიტორიის ფონური მდგომარეობა და დაგეგმილი საქმიანობით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება

5.1 ფონური მდგომარეობის მოკე დახასიათება

შპს „რუსელოისი"-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ქარხანა განთავსებულია ქ. თერჯოლაში (საკადასტრო კოდი: 33.09.43.669), თბილისი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალიდან თერჯოლის გადასახვევის მოპირდაპირედ, გზის მარცხენა მხარეს, ყოფილი შამპანურის ქარხნის ტერიტორიაზე. განთავსების ადგილის GPS კოორდინატია: X-330365, Y-46693700; საკადასტრო კოდი: 33.09.43.669. ტერიტორიის ფართობი - 12719 კვ.მ. ტერიტორიის სიმაღლე ზღვის დონიდან 130მ -ია. მანძილი საწარმოსა და მოსახლეობას

შორის 1000მ-ია, ხოლო მდ. ჩოლაბურამდე - 800 მ. საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 1კმ მანძილით. (ქარხნის ტექნოლგიური სქემა მოცემულია ნახაზ. N3-ში)

ტექნიკური პროექტის შესაბამისად საწარმოს დანიშნულება თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებული მანგანუმის საბადოს მოქმედი კარიერიდან მადნის შემოზიდვა საწარმომდე, ნედლეულის გამდიდრება და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია.

ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობა ხორციელდება მანგანუმის დაჟანგული და მცირე დაჟანგული მადნის სველი გრავიტაციული მეთოდით გამდიდრების მიზნით.

მანძილი კარიერიდან გამამდიდრებელ საწარმომდე დაახლოებით 18 კმ -ია.

საწარმოს წარმადობაა 17 ტონა 22-24%-იანი მანგანუმის შემცველი ნედლეულის გადამუშავება საატში, საიდანაც მიიღება 8,333 ტონა გამდიდრებული მადანი 32%-ი მანგანუმის შემცველობით საათში. საწარმო იმუშავებს ერთცვლიანი (8სთ) სამუშაო რეჟიმით , წელიწადში 300 სამუშაო დღით. მომუშავებ პერსონალის რაოდენობაა 25 კაცი, მათ შორის 20 მუშა და ოპერატორი , ხოლო 5 ადმინისტრაციული პერსონალი.



(ქარხნის ტექნოლოგიური სქემა მოცემულია ნახაზ. N3-ში)

საწარმოს განთავსების რაიონი წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილს, დაბლობის ჰიფსომეტრული განვრცობა ზღვის დონიდან 50-150 მეტრის ფარგლებშია. მასში მოიაზრება მდინარეების: ყვირილას, ჩოლაბურის, სულორის, ხანისწყალისა და სხვა მდინარეთა ხეობები.

ჰავა თბილი და ნესტიანია, შავი ზღვის გავლენა კოლხეთის დაბლობის ამ ნაწილზე საკმაოდ ძლიერია. კოლხეთის დაბლობის დასავლეთის რაიონთან შედარებით ჰავა აქ

რამდენადმე მშრალია, რაც გარკვეულწილად აღმოსავლეთის მშრალი ქარების (ფიონების) გავლენითაა განპირობებული .

საპროექტო ტერიტორია გეომორფოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით მოქცეულია ზემო ომერეთის გეომორფოლოგიურ ოქლში. გეოლოგიური აგებულების თვალსაზრისით ტერიტორიაზე გავრცელებულია შუა მოიცენისა და ქვედა სარმატის ნალექები. რომლებიც წარმოდგენილია თიხებითმ ქვიშაქვებით ქვიშიანი კირქვებით კონგლომერატებით. აღნიშნულინ ქნაების გამოსავლები გვხდება მდ ჩოლაბურის ფერდობებზე ჩრდილოეთ დაბლობებზე. ზემოდან ისის დაფარულია მეოტრხეული ასაკის დელოვიურუ თიხებითა და თიხნარებით , რომელტა სიმძლავრე მანგამნუმის გამამდირებელი საწარმო სტერტორიაზე აღწევს 0,5-1,5 მ-ს.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მიხედვით საპორექტო ტერიტორია მოქცეულია საქართველოს ბელტის არტეზიული აუზის ცენტრალურ ნაწილში. აქ გვხდება როგორც ინტენსიული ასევე შენელებული მიმოქცევის მიწისქვეშა წყლები დაბალი მინერალიზაციით და ჰიდროკარბონატული შემადგენლობით. წყალშემცველი კომპექსის კვება ხდება მდინარის წყლითა და ატმოსფერული ნალექებით. ჰიდროლოგიურ ქსელს საკვლევ ტერიტორიაზე მდინარე ყვირილა, მდინარე ჩოლაბური და მდინარე ძევრულა ქმნიან თავისი შენაკადებით.

საქართველოს ტერიტორია როგორც კავკასიის ტერიტორიის ნაწილი სეისმურად აქტყიური რეგიონის რიცხვს მიეკუთვნება. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია სეისმური საშიშროების 8 ბალიანი რისკების ზონაშია მოქცეული .

ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია ეწერი, ალოვიური ნიადაგები და მდელოს რუხი ფერის ნიადაგები. საწაროს ტერიტორიის ფარგლევში მინდვირს ბალახიანი საფარისა და სხვა სახის მცენარეულობა არ არსებოსბს. რაც შეეხება საწარმოს განთავსების რაიონის ფარგლებში არსებულ მცენარეულ საფარს, რომელიც უშუალოდ შეეხება საწარმოსთვის გამოყოფი, ტერიტორიას არ ggაჩნიათ. საწარმოს ტერიტორიიდან სამხრეტთით დაახლოებით 800 მეტრის დაშორებტ მდინარე ჩოლაბურის ჭალის ტყეებია განლაგებული. რომელიც ძირიტადად შერეული ტყის კორომს წარმოადგენს და ძირითადად წარმოდგენილია წიფელით, მურყაბით, ლაფანით, ქართული და იმერული

მუხა, იფანი ლაფა და სხვა . ზოგიერთ ადგილზე მცირე ფართობებზე განლაგებულია ბაახოვანი ჭაობები,. უნდ აღინიშნოს რომ საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით მისგან დაახლოებით 6კმ-ის მოშორებით აჯამეთის ნარკძალია განთავსებული.

6. ზემოქმედების შეფასება

გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად გასათვალისწინებებლია ძირითადი ზემოქმედების ფაქტორები, კერძოდ ჩასატარებელი სამუშაოების ხასიათი, სიდიდე, ზემოქედების არეალი და ხანგრძლილვობა.

სამუშაოების პერიოდის (2 კვირა) განმავლობაში ჩასატარებელი სამუშაოების მცირე მასშტაბების და სპეციფიკის გათვალისწინებით (ამ სამუშაოებში მძიმე ტექნიკის (სატვირთო ავტომობილები, ავტოამწე, ინტენსიური გამოყენება არ მოხდება) გარემოზე ზემომქედება იქნება უმნიშვნელო. ზემოთ დასახლებული სამუშაოები განხორცილედება მხოლოდ დღის განმაცლობაში

6.1 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე

უნდ აღინიშნოს რომ საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით მისგან დაახლოებით 6 კმ-ის მოშორებით აჯამეთის ნარკძალია განთავსებული. საწარმოს ტერიტორიიდან სამხრეტთით დაახლოებით 800 მეტრის დაშორებით მდინარე ჩოლაბურის ჭალის ტყეებია განლაგებული. ამასთან ობიექტი განთავსებულია საწარმოო ზონაში და არ სვდება სსიპ "სატყეო სააგენტოს" მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის საზღვრებში ან მის მიმდებარედ.

შესაბამისად პროექტით გამოწვეული ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე გარმორიცხულია.

6.2 ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისგან. აქედან გამომდინარე, პროექტით დაგეგმილი ცვლილება მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას არ ითვალისიწინებს. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ცენტრალური გზის ნაპირზე და გამოირჩევა ხმაურით, რომელიც გამოწვეულია იქ არსებული ადგილობრივი და საქალაქთაშორისო სატრანსპორტო მიმოსვლით. შესაბამისად, ცხოველთა ბუდობისთვის ხელსაყრელი პირობები არ არის და ცვლილების განხორციელება ვერ შეცვლის არსებულ გარემოს.

6.3 ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მნიშვნელოვანია ზედაპირული წყლის რესურსებზე ზემომქედება, რადგანაც მადნის გამდიდრების პროცესში წყალი ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. ტექნოლოგიურ პროცეში წარმომქნილი ჩამდინარე წყლები შეიცავს დიდი რაოდენობით ამიტომ არსებობს ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურბეის რისკი.

საწარმოში წარმოიქნება ორი სახის ჩამდინარე წყალი **საწარმოო, სანიაღვრე** და **საყოფაცხოვრებო- სამურნეო** წყლები.

საყოფაცხოვრებო სამეურნეო ჩამდინარე წყლებისთვის ტერიტორიაზე მოწყობილია წყალგაუმტარი საასენიზაციო ორმო. საასენიზაციო ორმოს შევსების შემთხვევაში ხორციელდება მისი დაცლა სპეც ავტომანქანით ხელშეკრულების საფუძველზე.

ტექნოლოგიურ პროცესში წარმომქნილი საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება ჰორიზონტალური სალექარის გავლით მდ. ჩოლაბურში.

დაგეგმილი ცვლილების ფარგლებში, ტერიტორიაზე მოწყობილი სანიაღვრე ქსელი და გამწმენდი ნაგებობა უზრუნველყოფს ტერიტორიაზე წარმოქმნილი წყლების მეტად ეფექტურ შეგროვებასა და გაწმენდას. ყოველივე აღნიშნულის **გათვალისწინებით, საქმიანობის შედეგად, ფაქტობრივად** გამორიცხულია ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედება.

6.4 ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება

ტერიტორია სადაც განთავსებულია საწარმო არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებისაა და ტერიტორია წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სამეწამრეო დანიშნულებით.

საწარმოს ფუნციონირებისას ნიადაგზე ზემომქედდბეა მოსალოდნელია სანიაღვრე არხების მოწყობის დროს შესაბამისად ნიადაგისა და გრუნტის წყლების დაბინძურება საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი არ არის.

მანგანუმის მადნის გამამდიდრებელ საწარმოს ტერიტორიაზე არ განხორციელდება კარიერიდან შემოსული ნედლეულით დატვირთული და ასევე პროდუქციის, შლამებისა/კუდების გატანისთვის განთუთვნილი ავტოთვიმცლლების ძარის გარეცხვა, ასევე არ მოხდება მათი შეკეთება რემონტი.

ნედლეულის, პროდუქციისა და შლამების/კუდების ტრანსპორტირებისას ავტომანქანები სისტემატიურად იქნება შემოწმომებული ტექნიკურ გამართულობაზე, [illegible] სიჩქარის დაცვაზე.

ავტოტრანსპორტის დატვისრთვისას გათვალისიწნებული იქნება მისი თვირთამწეობა, ავტომანქანის ძარაზე დაგებული იქნება სითხეგაუმტარი გეომემბრანა, რომელიც უზურუნველყოფს მანქანის ძარაზე შლამების შეკავებას და გამორიცხავს გარემოს დაბინძურებას.

6.5 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ტერიტორიის დათვალიერებით და ვიზუალური შეფასებით, არც საპროექტო ტერიტორიაზე და არც მიმდებარე ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ ფიქსირდება. შესაბამისად, მასზე ობიექტის ფუნქციონირებით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.6 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორიაზე განხორციელებული ცვლილება არ უკავშირდებოდა დამატებითი სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელებას, სატრანსპორტო ნაკადებზე უარყოფით ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზა. საზოგადოებრივი სატრანსპორტო [illegible] სოფლებთან დამაკავშირებელი შიდა საავტომობილო გზები. საწარმოო ობიექტის განთავსების ტერიტორიასთან ცენტრალური საავტომობილო გზიდან მიყვანილია გრუნტის საავტომობილო გზა, რომლის ტექნიკური მდგომარეობა სიგრძე, სიგანე დამაკმაყოფილებელია. ნედლეულის/პროდქუციის ტრანსპორტირებისას

ნედლეულის, პროდუქციისა და შლამების/კუდების ტრანსპორტირებისას ავტომანქანები სისტემატიურად იქნება შემოწმომებული ტექნიკურ გამართულობაზე, მოძრაობის სიჩქარის დაცვაზე.

ავტოტრანსპორტის დატვისრთვისას გათვალისწინებული იქნება [illegible] ავტომანქანის ძარაზე დაგებული იქნება სითხეგაუმტარი გეომემბრანა, რომელიც უზურუნველყოფს მანქანის ძარაზე შლამების შეკავებას და გამორიცხავს გარემოს დაბინძურებას.

საწარმოს ექსპლუატაციის პირობებში სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებულია ნედლეულის, მზა პროდუქციის და საწარმოო ნარჩენების ტრანსპორტირებასთან.

საწარმოსთვის საჭირო ნედლეულის მოცულობიდან გამომდინარე (17ტ/სთ, ანუ 40 800 ტონა ნედლეულ) საშუალოდ დეში 7-მდე გადატვირთვის ტოლია,

როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული, საწარმო იმუშავებს მხოლოდ დღისით, რაც გამორიცხავს მაცხოვრებლებზე უარყოფით გავლენას. გარდა ამისა ცენტრალური საატომობილო გზით სარგებლობა გამორიცხავს სატრანსპორტო ნაკადების ფონური ინტენსივობის მნიშვნელოვან ზრდას.

6.7 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, საწარმოს ტექნოლოგიის გათვალისწინებით, ადგილი აქვს საწარმოო ნარჩენნის წარმომქნას მანგანუმის მადნის გამდიდრების შედეგად წარმოქმნილი მანგანუმის შემცველი ე. წ კუდები და შლამები, რომლებიც ვასოავსდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე - კუდსაცავში და შლამსაცავში და მათი გატანა მოხდება გზშ-ს შესაბამისად სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებულ მანაგანუმის მადნის კარიერის ტერიტორიაზე გამომუშავებულ ფართობზე.

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების (სანიაღვრე არხების მოწყობა) განხორციელებისას წარმომქნილი სამშენებლო ნარჩებების გატანა ტერიტორიიდან იწარმოებს მოწყობის სამუშაოების პარალელურად შესაბამისი ორგანიზაციის მიერ.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, საწარმოს ტექნოლოგიის გათვალისწინებით, ადგილი ექნება საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდ სალექარში დაგროვილი ლამის წარმოქმნას - წელიწადში 12 000 ტ-ს. აღნიშნული ლამის გამოყენება შესაძლებელია როგორც სამშენებლო მიზნებისთვის ასევე შემავსებელ მასალად ამასთან მისი გამოყენება

შესაძლებელი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა საქმიანობაში. შესაბამისად სალექარში დაგროვილი ლამი ამოღებული იქნება პერიოდულად (წელიწადში 3-ჯერ) და გატანილი იქნება სარეალიზაციოდ, როგორც პროდუქტი.

სალექარის სექციებიდან ლამის ამოღება მოხდება საჭიროების და მიხედვით ექსკავატორის მეშვეობით და დროებით (რეალიზაციამდე) განთავსდება სალექარის მიმდებარედ 20მ² ფართის მობეტონებულ ტერიტორიაზე, რომელსაც დაქანება (დახრა) აქვს სალექარის მხარეს, რაც უზრუნველყოფს ლამის გაუწყლოებისას წარმოქმნილი ნაჟური წყლების სალექარში ჩადინებას. იქიდან გამომდინარე, რომ მოსალოდნელი ლამის რაოდენობა წელიწადში მცირეა, მისი დასაწყობებისთვის ცალკე ტერიტორიის გამოყოფის საჭიროება არ არის და გატანილი იქნება პირდაპირ სარეალიზაციოდ ან მოსახლეობისთვის გადასაცემად.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო, ნარჩენის წარმოქმნას, საწარმოში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერებში და მათი გატანა ხორციელდება პერიოდულად, ქალაქის დასუფთავების სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე მოსალოდნელი არ არის სახიფათო ნარჩენების წარმოქნას, ვინაიდან საწარმოს საკუთარი საავტომობილო პარკი და ავტოსარემონტო არ აქვს, შესაბამისად არც საწვავ-საპოხი მასალების სასაწყობე მეურნეობა გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე ავტოტრანსპორტთან დაკავშირებით წარმომქნილი ნარჩენებსაც (საბურავები, აკუმულატორები, გამოყენებული ზეთები და სხვა ადგილი არ ექნება.

ავტომანქანების შეკეთება-რემონტი საჭიროების შემთხვევაში გამხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი ავტოსარემონტო კომპანიის ბოქსში.

განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილების ფარგლებში, წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობები არც გაზრდილა და არც მოსალოდნელია მათი გაზრდა.

6.8 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება

საწარმოს საქმიანობის შეეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა მანგანუმის ოქსიდები და არაორგფანული მტვერი ვინაიდან მანგანუმის მადნის გამდიდრება წარმოებს სველი გრავიტაციული (მისის გარცხვა დამტვრევა და დალექვა ხდება სველი წესით) მეთოდით უმნიშვნელოა მტვრის წარმომქნა როგორც სამუშაო ადგილებზე ასევე გარქვევა ატმოსფერრულ ჰაერში.

გზშ-ის ეტაპზე კომპანიას სამინისტროში წარდგენილი და შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი'' (წერილი 3903/01 2019 წლის 16 აპრილი) .

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის" თანახმად,

ჰაერში გაფრქვეული არც ერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების მიწისპირა მაქსიმალური კონცენტრაცია ობიექტიდან უახლოეს მოსახლესთან (გაანგარიშებაში აღებული იყო 1000 მეტრი) მიმართებით არ აჭარბებს ნორმით დადგენილ მნიშვნელობებს.

აღსანიშნავია, რომ საწარმოში განხორციელებული ცვლილება ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების კუთხით შესაძლებელია შეფასდეს როგორც პოზიტიურ ქმედებად,

აღნიშნული ცვლილებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.9 ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, საწარმოს ფუნქციონირებისას

ობიექტიდან უახლოეს მოსახლემდე გავრცელებული ხმაურის დონე არ აჭარბებს ნორმით

განსაზღვრულს. **დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილების ფარგლებში ამ მიმართულებით რაიმე დამატებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.**

საწარმოს განთავსების ადგილის გათვალისწინებით გამორიცხულია მოსახლეობაზე ხმაურის უარყოფითი გავლენა. საგულისხმოა ისიც, რომ ტერიტორია განთავსებულია ცენტრალური გზის ნაპირზე და გამოირჩევა ხმაურით, რომელიც გამოწვეულია იქ არსებული ადგილობრივი და საქალაქთაშორისო სატრანსპორტო მიმოსვლით. აღნიშნულ ხმაურთან მიმართებით, საქმიანობით გამოწვეული ხმაური არ არის მნიშვნელოვანი.

6.10 კუმულაციური ზემოქმედება

საწარმო მდებარეობს ანთროპოგენული დატვირთვის მქონე სამრეწველო ზონაში, სადაც ფუნციონრებს სხვა და სხვა საწარმოები.

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით

მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმოა.

ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის გავრცელება, კერძოდ ობიექტისა და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე.

უხედავად ამისა, საწარმოში განხორციელებული ცვლილების ფარგლებში არც მომხდარა და არც იგეგმება ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც კუმულაციური ზემოქმედების რისკებს გაზრდის.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო ცვლილებები ეხება მხოლოდ სანიაღვრე არხების მოწყობას რომელიც არც ცდება სამშენებლო ბუფერს, ასევე დამატებით მიწის ნაკვეთების ათვისებას, წინამდებარე სკრინინგის ანგარიშში განხილული ზემოქმედებები ეხება მხოლოდ აღნიშნულ ცვლილებებს. დაგეგმილი საქმიანობის ხასიათის, ადგილმდებარეობის და მასშტაბების გათვალისწინებით წინამდებარე სკრინინგში განხილვიდან ამოღებულია რამდენიმე საკითხი.

დანართი

ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: E22072444, 13/06/2022 09:51:28

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს რუსელოის
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404504327
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქ., N 2, საოფისე ფართი N21

მისამართი/ეკონომიკური საქმიანობის სახე

- ქალაქი რუსთავი ,მარის არხის დასახლება N174(უნ.კოდი:0006)

  E22072444, 13/06/2022 C.24.10.0;

- ქალაქი რუსთავი ,მარის არხის N174(უნ.კოდი:0007)

  E22072444, 13/06/2022 C.24.10.0;

- თერჯოლის რაიონი, ქალაქი თერჯოლა ,33.09.43.028(უნ.კოდი:0008)

  E22072444, 13/06/2022 B.07.10.0;

- თერჯოლის რაიონი, ქალაქი თერჯოლა ,33.09.43.026(უნ.კოდი:0009)

  E22072444, 13/06/2022 B.07.10.0;

გამოყენებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების ცნობარი

B.07.10.0 რკინის მადნების მოპოვება

C.24.10.0 თუჯის ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება

ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვადაა 1 წელი რეგისტრაციის მომენტიდან. ამ ვადის გასვლა იწვევს რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების ძალადაკარგულობას, თუ დაინტერესებული პირი არ წარადგენს მოთხოვნას რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ

ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;

- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 33.09.43.669

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022533609 - 22/07/2022 12:08:11

მომზადების თარიღი
28/07/2022 19:25:05

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თერჯოლა	ქ. თერჯოლა		
33	09	43	669

მისამართი: ქალაქი თერჯოლა

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 12719.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **33.09.43.026; 33.09.43.028;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01-არასაცხოვრებელი (1 სართულიანი, აშენებული) განაშენიანების ფართი-863.99 კვ.მ. N02-არასაცხოვრებელი (1 სართულიანი, აშენებული) განაშენიანების ფართი-82.25 კვ.მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016022793 , თარიღი 18/01/2016 15:42:26
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/01/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის ყველა აქტივის მიწოდების ხელშეკრულება N160033975 , დამოწმების თარიღი:15/01/2016 ,ნოტარიუსი დ. იმნაძე
- საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის ყველა აქტივის მიწოდების ხელშეკრულება N160033975 , დამოწმების თარიღი:15/01/2016 ,ნოტარიუსი დ. იმნაძე

მესაკუთრეები:
შპს რუსელოის , ID ნომერი:404504327

მესაკუთრე:
შპს რუსელოის

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015754210 თარიღი 30/12/2015 17:31:53	**იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595;** საგანი:დაზუსტებული ფართობი: 2331.00 კვ.მ. მასზე განთავსებული ყველა შენობა-ნაგებობით; **იპოთეკის ხელშეკრულება N123123864311, რეესტრის ნომერი N151404801, დამოწმების თარიღი29/12/2015, ნოტარიუსი მ. გვაზავა**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/12/2015	
1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015754225 თარიღი 30/12/2015 17:33:34	**იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595;** საგანი:მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 10388.00 კვ.მ.; **იპოთეკის ხელშეკრულება #123123864311, რეესტრის ნომერი N151404801, დამოწმების თარიღი29/12/2015, ნოტარიუსი მ. გვაზავა**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/12/2015	

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

- აკრძალვა: **102021142884 14/04/2021 13:34:16**
  შპს რუსელოის ს/ნ 404504327
  საგანი: **უძრავი ნივთი: ქალაქი თერჯოლა, 33.09.43.026, აეკრძალოს აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ნივთის გასხვისება.**
  საფუძველი: **განჩინება, N2-2046-16, 14.04.2021, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
- აკრძალვა: **102021142886 14/04/2021 13:36:31**
  შპს რუსელოის ს/ნ 404504327
  საგანი: **უძრავი ნივთი: ქალაქი თერჯოლა, 33.09.43.028, აეკრძალოს აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ნივთის გასხვისება.**
  საფუძველი: **განჩინება, N2-2046-16, 14.04.2021, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემკვიდრეო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საჯარო
რეესტრი

ნაკვეთი 1/3-ზე ნაკლებად იცვლის ადგილმდებარეობას

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:	330943669
განცხადების რეგისტრაციის ნომერი:	882022569729
მიწის ნაკვეთის ფართობი:	12719 კვ.მ.
დანიშნულება:	
მომზადების თარიღი:	08.08.22

01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა	ვალდებულება	სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნაკვეთი	
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	მშენებარე ნაგებობა	ხაზობრივი ნაგებობა	UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**33.09.43.669**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882022533609**	ფართობი:	**12719 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
მომზადების თარიღი:	**28/07/2022**		



პირობითი აღნიშვნები:

ნაკვეთის საზღვარი	მშენებარე ნაგებობა	აშენებული ნაგებობა	ქარსაფარი ზოლი
ხაზობრივი ნაგებობა	ტყის ფონდი	ვალდებულება	

ს/კ 33.09.43.669

ფართობი: 12719 კვ.მ



WGS 84 / UTM zone 38 N

1:1,500

საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11318/01
03/12/2020

11318-01-2-202012031217

შპს „რუსელოისს"

მისამართი: ქ. თბილისი, მ. ბროსეს ქ. №2, ოფისი №25.

ასლი: სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

თქვენი 2020 წლის 12 ნოემბრის №01-172/01-20 წერილის (სამინისტროს რეგისტრაციით №17764; 13.11.2020) პასუხად გიგზავნით „შპს „რუსელოისის" სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №2-1095 ბრძანებას თანდართულ დასკვნასთან ერთად.

დანართი: 7 (შვიდი) ფურცელი.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1095

26/11/2020

ქ. თბილისი

შპს „რუსელოისის" სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 13 ნოემბერს სამინისტროს მომართა შპს „რუსელოისის" გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2008 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ა.დ.ვ.-ტოგოს" სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება; დაბა თერჯოლა) გაიცა №38 (19.11.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

2014 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე შპს „ა.დ.ვ.-ტოგოზე" გაცემული ნებართვა გადაეცა შპს „რუსმეტალს". ხოლო 2016 წელს ზემოაღნიშნული ნებართვა შპს „რუსმეტალისგან" გადაეცა შპს „რუსელოისს".

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2008 წლის №38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ა.დ.ვ.-ტოგო"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 24 ნოემბრის №759 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2008 წლის №38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „რუსელოისის" სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №38; 19.11.2008);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ცხადდება „შპს „ა.დ.ვ.-ტოგო"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 24 ნოემბრის №759 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „რუსელოისს";
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რუსელოისის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

საქართველოს ბარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური
SERVICE OF LICENSES AND PERTMITS
saqarTvelo, 0114, Tbilisi; g. gulua q.6a, tel.: 72 72 60

ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ ___38___

"_19___" ____11____ 2008 წ

1. პროექტის დასახელება – „თერჯოლის რაიონში, „შამპანური ღვინოების კომბინატი"-ს ტერიტორიაზე მანგანუმის მადნის გამადიდრებელი ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასება".
2. ინვესტორის დასახელება და მისამართი – შ.პ.ს „ა.დ.ვ. – ტოგო", საქართველო, ქ. თბილისი, დელისის ქ. №14;
3. განხორციელების ადგილი – დაბა თერჯოლა
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 04.11.08
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შ.პ.ს „ა.დ.ვ. – ტოგო"

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შ.პ.ს „ა.დ.ვ.–ტოგო"-ს მიერ, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია: „მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში".

საწარმო განთავსებულია თერჯოლის რაიონში, თბილისი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალიდან თერჯოლის გადასახვევის მოპირდაპირედ, გზის მარცხენა მხარეს, ყოფილი შამპანური ღვინოების კომბინატის ტერიტორიაზე. მანძილი საწარმოსა და მოსახლეობას შორის 1000 მ-ია, ხოლო მდ. ჩოლაბურამდე – 800მ.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემულია საწარმოს განთავსების ფონური მდგომარეობა, კერძოდ: იმერეთის ზოგადი გეოგრაფიული, კლიმატური და ტემპერატურული რეჟიმების მახასიათებლები, მოკლე გეოლოგიური და ჰიდროლოგიური დახასიათება, ჰიდროლოგიური და სეისმური პირობები. საწარმო მანგანუმის მოპოვებას ახორციელებს თერჯოლის რ-ნის სოფ. ძევრის მიმდებარედ არსებული კარიერიდან.

თერჯოლის რაიონის სოფ. ძევრის მიმდებარედ საბადოს მადნები წარმოადგენენ კარბონატული მადნების დაჟანგვის პროდუქტს. მანგანუმის ძირითადი მინერალებია პიროლუზიტი, პსილომელანი, ვერნადიტი და მცირე რაოდენობით მანგანუმის კარბონატები. ამ სახის მადნები ასევე გავრცელებულია ჭიათურის მანგანუმის აუზის თითქმის ყველა ზეგანზე. დაჟანგულ მადნებს მათი სტრუქტურიდან გამომდინარე გააჩნიათ შედარებით დაბალი ხვედრითი წონა და მაღალი ტენიანობა. საწარმოში მანგანუმის შემცველი მადნის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობა გათვალისწინებულია მანგანუმის დაჟანგული და მცირედ დაჟანგული მადნის სველი გრავიტაციული გამდიდრების მეთოდის გამოყენებით.

საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე, ლიცენზიის პირობებით განსაზღვრულია მანგანუმის მადნის წლიური მოპოვება 20000ტ, რომლის გადამუშავებითაც მიიღებენ 6 ათას ტონა კონცენტრატს და 14 ათას ტონა ნარჩენებს შლამების და კუდების სახით. მანგანუმის მადნის შემცველი კარიერიდან, გამამდიდრებელ საწარმომდე ნედლეულის შეზიდვა გათვალისწინებულია თვითმცლელი ავტომანქანებით. მანძილი კარიერიდან გამამდიდრებელ ქარხანამდე დაახლოებით 18 კმ-ია.

საწარმოში შეზიდული ნედლეული განთავსდება მისთვის გამოყოფილ ფართობზე, გადახურული ნაგებობის მიმდებარედ, სადაც მოხდება მადნის ჩატვირთვა მიმღებ ბუნკერში. მიმღები ბუნკერიდან ლენტური ტრანსპორტირით მადანი მიეწოდება ვიბრაციულ ცხრილს. მადნის გაცხრილვის შემდეგ 8 მმ-ზე მცირე ზომის ფრაქცია გადადის სპირალურ კლასიფიკატორში, ხოლო დარჩენილი ნაწილი მიეწოდება ყბებიან სამსხვრეველას, რომელშიც წარმოებს მადნის დაქუცმაცება მისაღებ 8 მმ-ზე ნაკლებ ზომამდე. ყბებიანი სამსხვრეველადან მიღებული მადანი უბრუნდება ვიბრაციულ ცხრილს, რომლიდანაც გაცხრილული ნაწილი კვლავ მიეწოდება სპირალურ კლასიფიკატორს. კლასიფიკატორში ხდება მადნის გაწყლოვანება ტერიტორიაზე არსებული ტექნიკური წყლის ტბორიდან, რომელიც მიეწოდება სატუმბი დანადგარით. ტექნოლოგიური სქემის შემდეგ ეტაპზე კლასიფიკატორიდან მასა გადადის სალექარ დანადგარში, რომელშიც ხდება მანგანუმის კონცენტრატისა და კუდების გაყოფა. მანგანუმის კონცენტრატი ჯამებიანი ელევატორით გადადის მზა პროდუქციის ბუნკერში, რაც შეეხება კუდებს მისი გადატვირთვა ხდება მეორე სპირალურ კლასიფიკატორში, რომელშიც ხდება კუდების გაუწყლოვანება. ამრიგად ტექნოლოგიურ პროცესში

მიღებული შლამიანი წყალი მილგაყვანილობის მეშვეობით გადაედინება ჰორიზონტალურ სალექარში, რომლიდანაც დალექილი გაუწყლოვანებული შლამი გადაიტანება შლამსაყარზე, რომლის ფართობი დაახლოებით 500 $მ^2$-ია, ხოლო გაწმენდილი წყალი უბრუნდება წყლის ტბორს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილულია საწარმოს განთავსების ორი ალტერნატიული ვარიანტი. საწარმოს განთავსების ტერიტორიად შერჩეულ იქნა, თბილისი-სენაკი-ლესელიძეს ავტომაგისტრალიდან თერჯოლის გადასახვევის მოპირდაპირედ, გზის მარცხენა მხარეს ყოფილ შამპანური ღვინოების კომბინატის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი ნაგებობა. ტერიტორია დაცილებულია დასახლებული პუნქტიდან 1000მ-ის მანძილით, ტერიტორია ღარიბია მცენარეული საფარით და შერჩეულ ტერიტორიაზე უკვე არსებობს საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა (მისასვლელი გზა, ელექტრომომარაგება, სარკინიგზო ჩიხი და სხვა).

საწარმოს ექსლუატაციის პროცესში მოსალოდნელია შემდეგი სახის ნარჩენების წარმოქმნა: სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენები. სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას. საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა გათვალისწინებულია თერჯოლის კომუნალურ სამსახურთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოში დაგეგმილია გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ: კარიერიდან მადნის ზიდვისას ამტვერების ჩახშობის საშუალებები, ქარხნის ეზოს კეთილმოწყობა, სანიაღვრე წყლების მოგროვებისა და გაწმენდის უზრუნველყოფა, შლამსაცავის მოწყობა, წარმოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების დასაწყობება და შემდგომი გადაზიდვა კარიერზე რეკულტივაციისათვის გამოსაყენებლად, შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა.

ექსპერტიზის პროცესში გამოთქმული პირობები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.

III. პირობები

1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 6 თვის ვადაში დამუშავდეს და შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) კონკრეტული გეგმა.
2. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 6 თვის ვადაში დამუშავდეს და შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ნარჩენების მართვის გეგმა.
3. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 6 თვის ვადაში დამუშავდეს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.
4. კარიერთან ახლოს მოეწყოს მადნით დატვირთული მანქანების გასარეცხი დანადგარი წყლის გამწმენდთან ერთად, რომელიც გამორიცხავს კარიერიდან ტრანსპორტით ამოტანილი მადნიანი ტალახის მტვერის სახით გაფანტვას გარემოში.
5. საწარმოს ექსპლუატაციის დროს არ მოხდეს შლამების ჩაღვრა მდ. ჩოლაბურში.
6. დადგინდეს ფონური მდგომარეობის ანალიზი კერძოდ: ჰაერის, წყლის და ნიადაგის ქიმიური ანალიზი.
7. საწარმოს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს საწარმოს შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კუდები, შლამები) დაბრუნება არსებულ კარიერზე რეკულტივაციისათვის.
8. საწარმოს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს არსებული საწარმოს ტერიტორიის გამწვანება.

IV. დასკვნა

შ.პ.ს „ა.დ.ვ.–ტოგო"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „თერჯოლის რაიონში, „შამპანური ღვინოების კომბინატი"-ს ტერიტორიაზე მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ქარხნა" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ ჭახნაკია
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

საქართველო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
TERJOLA MUNICIPALITY CITY HALL

28.09.22

წერილის ნომერი: **28-282227069**
თარიღი: **27/09/2022**

ადრესატი: შპს რუსელოის
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404504327
მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქ., N 2, საოფისე ფართი N21

შ.პ.ს.,,რუსელოისი''-ს გენერალურ დირექტორს

ბატონ ნუგზარ კევლიშვილს

ბატონო ნუგზარ,

თქვენი მიმდინარე წლის 13 სექტემბრის N01-066/02-22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტს ქალაქგანაშენიანების გენერალური გეგმა არ აქვს დამტკიცებული.

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი